საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგოლაშვილი ბორის არკადის ძე

გრიგოლაშვილი ბორის არკადის ძე (26. X. 1933, თბილისი, – 29. X. 1993, ქუთაისი, დაკრძალულია თბილისში), გენერალ-მაიორი (1993), მსახურობდა საბჭოთა არმიაში (პოლკოვნიკი).

1992-იდან მსახურობდა ქართ. არმიაში: ეროვნ. გვარდიის მთ. სამმართველოს შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ოპერატიული სამმართველოს უფროსი, 1993 ივლ-იდან – აფხ. ტერიტორიაზე მოქმედი I საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, კორპუსის მეთაურის პირველი მოადგილე. მისი ხელმძღვანელობით წარმატებით ჩატარდა მრავალი ოპერაცია.

გმირულად დაიღუპა აფხაზეთის ომში.

სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1993).

ლ. დოლიძე